

# ოლიმპიური ფინალის საქადრისი

კოპენჰაგენი, 10 ივლისი. იტალიის, დანიის, სსრ კავშირის, საფრანგეთისა და გდრ-ისველოსიპედისტები ამჟამად დანიაში იმყოფებიან: გრძელდება უძლიერესთა წინასაოლიმპიადო შეხვედრები. მსოფლიოს სპორტული პრესა, ველოსპორტის სამყარო გულმოდგინედ ადევნებს თვალს ფავორიტთა ბრძოლას, რომელიც, ფაქტიურად, მათ [illegible] შანსებს აზუსტებს.

იტალიურმა ტურნემ ყველაზე მეტად, ცხადია, მასპინძლებს გაახარა, მაგრამ საკმარისი იყო „შავისა" და პირობების შეცვლა, რომ გუშინდელ ფავორიტებს ერთბაშად წაუხდათ გუნება: დანიის პირველმა სტარტებმა მათ ვერაფერი ნუგეში მოუტანა.

სპრინტი დამაჯერებლად მოიგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ო. ფხაკაძემ. ფინალში მისი მეტოქე იყო მსოფლიოს ახლანდელი ვირგვინოსანი მორელონი (საფრანგეთი), რომელიც ეს უკვე მერამდენედ აღმოჩნდა უძლური საბჭოთა ველოსიპედისტის წინაშე. გამარჯვებულის შედეგი ბოლო 200 მეტრზე 11,6 წამი იყო.

ფინალამდე თბილისელმა მრბოლელმა ერთიმეორეზე „მიაწვინა" იტალიელი როსი, ფრანგი ტურინი და როსის თანამემამულე, იტალიური ტურნეს მთავარი ფავორიტი ბორგეტი. როგორც ხედავთ, შემადგენლობა ოლიმპიურ ფინალსაც კი დაამშვენებდა.

4 კილომეტრზე გუნდურ რბოლაში მსოფლიოს ჩემპიონმა — სსრ კავშირის ნაკრებმა წინასწარ ხერიაში საუკეთესო დრო (4.37,4) აჩვენა, ფინალში კი დაამარცხა გდრ-ის კოლექტივი (4.38,3), რომელიც გამარჯვებულს 0,6 წამით ჩამორჩა.

სურათზე: ო. ფხაკაძე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 135 (3619)

1968 წ. 11 ივლისი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.




საქართველოში სტუმრობს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ხელმძღვანელი სპორტული მუშაკების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამ ქვეყნის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კავშირის თავმჯდომარე ე. ბოსაკი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: სლოვაკიის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირის თავმჯდომარე ი. შედივი, ჩეხოსლოვაკიის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირის საერთაშორისო განყოფილების გამგე ფ. კროუტილი, სლოვაკიის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირის თავმჯდომარის მოადგილე ს. გომოლა, პროფ. კ. სტრანაი, ჩეხოსლოვაკიის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირის პრეზიდიუმის წევრები მ. ტემპისი და ზ. ანდრშტი (ჰოკეის ფედერაციის პრეზიდენტი), ჩეხოსლოვაკიის ფიზკულტურისა და სპორტის კავშირის საერთაშორისო განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი მ. შუბერტოვა.

ძვირფას სტუმრებს ჩამოჰყვნენ სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. კაზანსკი და სპორტკავშირის საერთაშორისო სპორტულ ურთიერთობათა სამმართველოს განყოფილების გამგის მოადგილე დ. პროხოროვი.

გუშინ თბილისში სტუმრებმა დაათვალიერეს საჩოგბურთო სტადიონი, იპოდრომი, დახურული საცურაო აუზი, „ფალავანთა კლუბი", „დინამოსა" და „ლოკომოტივის" სტადიონები, იყვნენ საჭადრაკო-ალპური კლუბისა და ტრეკის მშენებლობაზე, დღის მეორე ნახევარი კი თბილისის ზღვაზე გაატარეს.

დღეს დილით ჩეხოსლოვაკიელი მეგობრები და მათი თანმხლები პირები სოხუმს გაემგზავრნენ.

სურათზე: სტუმრები ათვალიერებენ „დინამოს" სტადიონს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.



## ლაფასთან — პრეტენდენტები

მოსკოვი, 10 ივლისი. ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა — მ. ტალისა და ვ. კორჩნოის ნახევარფინალური მატჩის გადადებულ, VII პარტიაში მეტოქენი გუშინ თამაშის განუახლებლად ყაიმზე შეთანხმდნენ. მატჩის ანგარიში გახდა 4:3 კორჩნოის სასარგებლოდ.

მალმე, 10 ივლისი. მეორე ნახევარფინალურ მატჩში ბ. სპასკისა და ბ. ლარსენს შორის გუშინ გათამაშდა III პარტია. ამჯერად დაფაზე შეიქმნა სიცილიური პარტიის ერთ-ერთი ვარიანტი. ლარსენი (შავები) მეფისა და დედოფლის ფლანგებზე დაუსაბუთებელი შეტევებით შეეცადა თამაშის გამწვავებას და მეფის ფლანგზე მეტოქის პაიკიც კი შესწირა. სპასკიმ იოლად მოიგერია დანიელი დიდოსტატის ყველა მუქარა და ცენტრში აქტიური მოქმედება წამოიწყო. ლარსენი მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა, თანაც, ძლიერ ცაიტნოტში მოექცა. ახლა იგი მესამე წაგების საფრთხის წინაშეა.

აი, გადადებული პარტია (41-ე სვლა ჩაიწერა სპასკიმ): თეთრები — მფg2, ეb1, კh4, მd6, პპ: a4, d5, f5, h3; შავები — მფg8, ეd8, კd3, კf4, პპ: a5, f5, g6. პარტია დამთავრდება ხუთშაბათს.

III პარტიას ესწრებოდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ვ. სმისლოვი.

დღეს გათამაშდება IV პარტია. ჯერჯერობით მატჩის ანგარიშია 2:0 სპასკის სასარგებლოდ.

## ჭაბუკთა ტურნირი

სვერდლოვსკი, 9 ივლისი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება „სიჭაბუკის თასის" საკავშირო ზონალური გათამაშება ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდებს შორის.

საქართველოს ნაკრებმა ჩაატარა კიდევ 2 შეხვედრა. იგი დამარცხდა უკრაინასთან (0:1), ხოლო ესტონეთის გუნდს მოუგო დიდი ანგარიშით — 6:0. დარჩა 2 მატჩი ყაზახეთისა და რსფსრ-ს წარმომადგენლებთან.

ზონიდან ფინალში გადიან I-II ადგილებზე გასული გუნდები.

## [illegible]

● მინსკი, 9 ივლისი. „დინამოს" ახალგაზრდა მძლეოსანთა აქ გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში 18 წლის ბაქოელმა ა. კარნელიუკმა 100 მ 10,2 წამში გაირბინა. სამი კვირის წინათ ეს შედეგი „უფროსების" უმაღლესი საკავშირო მიღწევის გამეორება იქნებოდა, ახლა კი ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა რეკორდია.

● ბუდაპეშტი, 9 ივლისი. უნგრეთის დედაქალაქში გაიმართა ავსტრიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და სხვა ქვეყნების მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრება. ორი წარმატება იზეიმეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა: ულიანოვსკელმა ვ. ბოროდინმა მოიგო 100 მეტრზე ბატერფლაის სტილით ცურვა (1.09,0), ხოლო ვლადიმერ გოდუნმა (მოსკოვის ოლქი) ყველაზე სწრაფად გაცურა 200 მ ბრასით — 2.37,5. სხვა გამარჯვებულთაგან თავი გამოიჩინა ევროპის რეკორდსმენმა იუდიტ ტუროციმ (უნგრეთი). 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მისი დროა 2.33,3. ამ გაცურვაში მეხუთე იყო ნორჩი ვოლგოგრადელი ი. პავლოვა — 2.39,5.

● ლონდონი, 9 ივლისი. „500-ანების" კლასში მსოფლიო ჩემპიონატის VII ეტაპი და „დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი" მოიგო ინგლისელმა მოტოკროსმენმა ესტვუდმა. II ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიელმა დობრიმ, III — შვედმა ჰამარგრენმა. 7 ეტაპის შემდეგ ლიდერობას კვლავინდებურად ინარჩუნებს ბოლო ორი წლის მსოფლიო ჩემპიონი პ. ფრიდრიხსი (გდრ).

● ბენგტფორსი (შვეცია), 9 ივლისი. მძლეოსანთა აქ გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ორი წარმატება იზეიმეს საბჭოთა სპორტსმენებმა: ვ. ბუდინსკიმ ყველაზე სწრაფად გაირბინა 3000 მ (8.32,6), ხოლო ი. ტერ-ოვანესიანმა საკმაოდ მოკრძალებული შედეგით (747 სმ) ყველას აჯობა სიგრძეზე ხტომაში. II ადგილი დაიკავა სოხუმელმა ვ. სანეევმა — 725 სმ. 1500 მეტრზე რბენა მოიგო ნორვეგიელმა ტ. შოლდერ-ნილსონმა — 3.53,8. ფინიშთან მესამე იყო ა. კურიანი — 3.54,2.

● მიუნსტერი (გფრ), 9 ივლისი. მსოფლიოს რეკორდსმენმა, ავსტრალიელმა რ. კლარკმა აქ მარცხი განიცადა ერთ-ერთ „თავის" დისტანციაზე — 3-კილომეტრიან მანძილზე რბენაში. მას აჯობა დასავლეთგერმანელმა სტაიერმა ჰ. ნორპოტმა — 8.25,6. კლარკი გამარჯვებულს 1,3 წამით ჩამორჩა.

● ვენერსბორგი (შვეცია), 9 ივლისი. ევროპის ძალოსანთა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორმა ბ. იუჰანსონმა (ქვემძიმე წონა) ქვეყნის ორი რეკორდი დაამყარა: სამჭიდში მოაგროვა 505 (172,5+147,5+185) და აიტაცა 148 კგ.

## კიევის «დინამო» — «ციურიხი»

## მოსკოვის «დინამო» — საბერძნეთი



◆ ჟენევა, 10 ივლისი. დღეს აქ გაიმართა ფეხბურთში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა წილისყრა. ჩემპიონთა თასზე კიევის „დინამოს" მერვედფინალური შეხვედრების გამართვა მოუწევს შვეიცარიის ჩემპიონთან „ციურიხთან". კიეველები პირველ მატჩს შვეიცარიაში ითამაშებენ. მოსკოვის დინამოელები თასების მფლობელთა თასის გათამაშების მერვედფინალში შეხვდებიან საბერძნეთის თასის მფლობელს. პირველ მატჩში მოსკოველები უმასპინძლებენ ბერძნებს. ორივე ტურნირის მერვედფინალური შეხვედრების დაწყება ნავარაუდევია 18 სექტემბერს.

## თბილისელი — ფინალში

სპიდვეიში სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატის მეოთხედფინალური ასპარეზობა ერევანში გაიმართა. სტარტზე გამოვიდა ლენინგრადის, ერევნის, კადიევკის, თბილისის და სხვა ქალაქების 15 უძლიერესი სპორტსმენი.

ორდღიან ტურნირში ყველას აჯობა სსრ კავშირის ნაკრების კანდიდატმა, ახალგაზრდა თბილისელმა ვ. კლემენტიევმა, რომელმაც 22 ქულა დააგროვა და 2 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ ვ. ბატურინს (ლენინგრადი).

III ადგილი დაიკავა ერევნელმა ე. მკრტჩიანმა.

გამარჯვებულები 13-14 ივლისს ბალაკოვოში (სარატოვის ოლქი) იასპარეზებენ ნახევარფინალში, ფინალი კი 18-19 ივლისს უფაში გაიმართება.

## 12 წლის შემდეგ

ჩვენში ბრაზილიელ ფეხბურთელთა სტუმრობა მუდამ დიდ ინტერესს იწვევს. საბჭოთა ფეხბურთელებთან პირველად „ატლეტიკა პორტუგეზას" სპორტსმენებმა გამართეს ამხანაგური მატჩი. ეს იყო 12 წლის წინათ მოსკოვში. და აი, გუშინწინ ამჯერადაც სსრ კავშირის დედაქალაქში ითამაშა „პორტუგეზამ". მისი მეტოქე იყო მოსკოვის „ბურევესტნიკის" ახალგაზრდული კოლექტივი, რომელსაც წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ვ. ბლინკოვი წვრთნის.

გუნდი მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებით არის დაკომპლექტებული და სულ ორიოდე წლის ბიოგრაფია აქვს.

გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფინალურ თამაშებს უკრა

I მოზარდთა

**მოზარდთა I რესპუბლიკური თამაშების პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებების ერთი ნაწილი მაისის ბოლოს ჩატარდა, ხოლო მეორე ნაწილი ახლახან დამთავრდა. ამჟერად ბოლო ხანს გამართულ შეჯიბრებათა შედეგებზე ვიაუწყებთ. იმასაც შევნიშნავთ, რომ უკვე დაიწყო მოზარდთა I საკავშირო თამაშების ფინალური შეხვედრები: 17 სახეობიდან ჭერჭერობით ბრძოლაში მოჭადრაკენი (დნეპროპეტროვსკში) და კლასიკური სტილის მოჭიდავენი (დონეცკში) ჩაებნენ. 12 ივლისიდან კი შეჯიბრებებში თანდათანობით ჩაებმებიან დანარჩენ სახეობათა წარმომადგენლებიც. ტყვიის მსროლელები იასპარეზებენ ლვოვში, ნიჩბოსნები — დონეცკში, ხოლო კიევი სპორტის 13 სახეობის (მძლეოსნობა, თავისუფალი ჭიდაობა, თანამედროვე ხუთჭიდი, აკრობატიკა, კრივი, ფარიკაობა, ბადმინტონი, ხამბო, მხატვრული ტანვარჯიში, მაგიდის ჩოგბურთი, ველოსპორტი, წყალში ხტომა და ხელბურთი) წარმომადგენლებს გაუწევს მასპინძლობას.**

## ყურადღება: ისვრის გორდეზიანი!

ვაკის სასროლეთზე გამართულ შეჯიბრებაში თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის უფროსი და უმცროსი ასაკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. კარგად გამოვიდნენ თბილისის 23-ე საშუალო სკოლის კურსდამთავრებული მ. გორდეზიანი, 41-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელი ვ. მერკინა, 91-ე სკოლის მეცხრეკლასელი ვ. ადინინსკი, ქუთაისელები თ. სვანიძე, გ. გალოგრე და სოხუმელი ა. პოპოვა, რომლებმაც საპრიზო ადგილების უმეტესობა დაისაკუთრეს. გორდეზიანმა, მაგალითად, მოიგო მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე (30+30) სროლა, მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 5 სილუეტზე სროლა და მეორე იყო ამავე იარაღით მრგვალ სამიზნეებზე სროლაში, ადინინსკიმ კი სამივე ვარჯიშში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა. სვანიძემ I ადგილი დაიკავა მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლაში და პნევმატური შაშხანით სროლაში, მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში კი II ადგილზე იყო. პოპოვამაც ორი გამარჯვება მოიპოვა — მოიგო მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე შეჯიბრება (3×20) და წოლელა 60 გასროლა.

მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლაში თავიდანვე დაწინაურდნენ სოხუმელი პირველთანრიგოსანი ვ. ხოხლოვი და სვანიძე. ისინი ფინიშთანაც ერთნაირი მაჩვენებლით (585 ქულა) მივიდნენ. ქუთაისელს უპირატესობა მიეკუთვნა იმის გამო, რომ ბოლო სერიაში უკეთ ისროლა. ორივეს 2-2 ქულა დააკლდა ოსტატობის კანდიდატის ნორმამდე. ქალიშვილებში ეს ვარჯიში, როგორც აღვნიშნეთ, მოიგო ოსტატობის კანდიდატმა პოპოვამ, რომელმაც 600-დან 578 ქულა დააგროვა. უმცროსი ასაკის ჭაბუკებში გაიმარჯვა დ. თვაურმა, გოგონებში — ე. პიგუნოვამ (თბილისი).

უფროსი ასაკის ჭაბუკებში მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 60 გასროლა მოიგო გალოგრემ — 556. ქალიშვილებში გამარჯვებულმა გორდეზიანმა 8 ქულით უკეთეს შედეგს მიაღწია. ამ ვარჯიშში უმცროსი ასაკის მსროლელმა ადინინსკიმ 600-დან 48 ქულა დაკარგა, მერკინამ კი 541 ქულა დააგროვა.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 5 სილუეტზე 60 გასროლით თამაშების ჩემპიონი გახდა აფხაზეთის გუნდის წევრი, სპორტის ოსტატობის კანდიდატი პ. უზუნიანი — 543. გორდეზიანმა ჭაბუკებს აქაც აჯობა — 556. უმცროსი ასაკის ჭაბუკები 30-30 ტყვიას ისროდნენ. ადინინსკიმ 273 ქულით გაიმარჯვა, ნ. კირილოვამ კი 255 ქულა მოაგროვა.

უფროსი ასაკის ვაჟთა შეჯიბრება მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში ქუთაისელი პირველთანრიგოსნის პ. იაშვილის გამარჯვებით დამთავრდა — 553. სვანიძემ მასთან 1 ქულით წააგო. ქალიშვილებში უძლიერესმა პოპოვამ 543 ქულა მოაგროვა, უმცროსი ასაკის ჭაბუკებში გამარჯვებულმა ვ. სიენკომ (თბილისი) და გოგონებში უძლიერესმა, მისმა თანაგუნდელმა მ. ოვანეზოვამ შესაბამისად 532 და 507 ქულა აჩვენეს.

ასპარეზობის ბოლო დღეს მცირეკალიბრიანი პისტოლეტით მრგვალ სამიზნეზე 30 გასროლაში ოსტატობის კანდიდატმა ი. ბოლოტინმა (თბილისი) 300-დან 261 ქულა მოაგროვა. ქალიშვილებში საუკეთესომ, თბილისელმა ტ. კობოსნიძემ — 253. უმცროსი ასაკის მსროლელებიდან ამ ვარჯიშში გაიმარჯვეს ადინინსკიმ და მერკინამ, რომელთა შედეგებიც II თანრიგის მაჩვენებელს არ ალემატება.

პნევმატური შაშხანით 100 მეტრიდან დგომელა 40 გასროლით შედარებით უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს პრიზიორებმა. სვანიძემ 361 ქულა მოაგროვა, ვ. კინწურაშვილმა (თბილისი) და ვ. პოლეხოვმა (სოხუმი) თითო ქულით ნაკლები, მაგრამ ვინაიდან კინწურაშვილმა პოლეხოვს ბოლო სერიაში აჯობა, II ადგილი მას მიეკუთვნა.

უმცროს ასაკში პირველი იყო ვ. ლიუბიმენკო (თბილისი) — 353, გოგონებში — სოხუმელი ზ. სანგულია — 324.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა წილად ხვდათ თბილისელებს, II ადგილზეა აფხაზეთის, III — ქუთაისის გუნდი.

**ა. ოსიპოვი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

* * *



**სურათზე:** მ. გორდეზიანი ასპარეზობის შემდეგ.

ფოტო სპორტის ოსტატ
თ. ლეკიშვილისა.



## „გასეირნება" 100 კილომეტრზე

**გუნდურ** ჩათვლაში ჩემპიონის ვინაობა ადრევე გაირკვა: ეს იყო თბილისის ნაკრები. 100 კმ ჯგუფური რბოლის მოგების შემთხვევაშიც კი თბილისელებს უკვე ვეღარავინ დაეწეოდა. ამიტომ მწვავე ბრძოლას ყველამ აარიდა თავი. მხოლოდ თბილისელი რ. გაგიევი დაწინაურდა სტარტიდანვე. მალე სხვაობა გაგიევსა და მის უკან „მოსეირნე" დიდ ჯგუფს შორის მეტრებიდან კილომეტრებში გადაიზარდა. როცა მოსახვევთან (50 კმ) გაგიევი ჯგუფს 12 წუთს (დაახლოებით 7-8 კმ-ს) უგებდა, ყველა მიხვდა თბილისელთა ტაქტიკურ ჩანაფიქრს: მათი წარმომადგენელი რბოლის სათავეში იყო, დანარჩენები კი ჯგუფს სასურველი ტემპით უძღვებოდნენ. გაგიევმა იოლად გაიარა დამქანცველი დისტანცია. გამარჯვებულის დრო 2:48.21.

მარათონულ რბოლაში გამორიცხული არაა სენსაციური შედეგები, მაგრამ ის, რომ გაგიევმა II ადგილზე გასულ თანაგუნდელ ი. კობაიძეს 21 წუთითა და 5 წამით მოუგო, მართლაც საოცარი იყო. თბილისელი მ. ბულბულოვი ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად მიაჩნდათ, მაგრამ იგი ფინიშამდე ჩამოქვეითდა და ხელი ჩაიქნია, აქაოდა, პირველობისთვის არ ვიბრძოდით.

ასპარეზობამ ერთხელ კიდევ ცხადყო ქალთა ველოსპორტის ჩამორჩენა. ნამდვილი ბრძოლისუნარიანობით მოწონება მხოლოდ თბილისელმა გ. აფაქიძემ დაიმსახურა. მან მოიგო 25 კმ-ზე ჯგუფური რბოლა და მეორე იყო 15 კმ-ზე დაყოფილი სტარტით შეჯიბრებაში.

ქების ღირსნი არიან ზესტაფონელი სპორტსმენები, რომლებიც თანდათან იმაღლებენ ოსტატობას და ღირსეულ მეტოქეობას უწევენ გამოცდილ კოლექტივებს. მათ V ადგილი დაიკავეს და უკან ჩამოიტოვეს ზუგდიდის, გორისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. გუნდურ ჩათვლაში 9 ქულით I ადგილზეა თბილისის ნაკრები. აფხაზეთის წარმომადგენლებს 25 ქულა აქვთ, აჭარისას — 29.

**გ. თენგოშვილი.**

### პირადი და გუნდური ასპარეზობის პრიზიორები

**გოგონები.** დაყოფილი სტარტით 15 კმ-ზე. 1. ლ. გრიგორიი (თბილისი), 2. გ. აფაქიძე, 3. ი. ციმბალიუკი (აჭარა); **გუნდური რბოლა 20 კმ-ზე.** 1. თბილისი, 2. აჭარა, 3. აფხაზეთი; **ჯგუფური რბოლა 25 კმ-ზე.** 1. აფაქიძე, 2. ნ. კოლოდიოჟნაია (აჭარა), 3. ვ. მოისეევა (აფხაზეთი).

**ჭაბუკები.** **უმცროსი ასაკი. დაყოფილი სტარტით 20 კმ-ზე.** 1. გ. ბულბულოვი, 2. ო. ბელთაძე, 3. ი. რთველიაშვილი (ყამივე — თბილისი); **წყვილთა გუნდური რბოლა 25 კმ-ზე.** 1. ბელთაძე, გ. ბულბულოვი, 2. ვ. ვალუისკი, რთველიაშვილი (პირადი ჩათვლა), 3. ვ. კუბრაკოვი, ბ. კიკვიძე (აჭარა); **გუნდური რბოლა 50 კმ-ზე.** 1. თბილისი, 2. აფხაზეთი, 3. აჭარა; **საერთო სტარტით 50 კმ-ზე.** 1. ბელთაძე, 2. რთველიაშვილი, 3. ვალუისკი; **უფროსი ასაკი. რბოლა 25 კმ-ზე.** 1. მ. ბულბულოვი, 2. ა. ბარშინი, 3. გ. კოლესნიჩენკო (აჭარა); **ჯგუფური რბოლა 100 კმ-ზე.** 1. რ. გაგიევი, 2. ი. კობაიძე, 3. ზ. ხოშტარია (აფხაზეთი).

შეჯიბრებები გორის გზატკეცილზე გაიმართა.

* * *

**სურათზე:** 100 კმ-ზე რბოლის მომენტი.

ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.

## მხოლოდ ენთუზიაზმით...

მოზარდ ბადმინტონისტთა შეჯიბრებაში, რომელიც გორში ჩატარდა, მასპინძლებს გარდა მონაწილეობდნენ თბილისის, აფხაზეთის, აჭარის, ქუთაისის და რუსთავის გუნდები.

თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ რესპუბლიკაში დღემდის არსადაა მოზარდ ბადმინტონისტთა სექცია, რომელსაც რეგულარული წვრთნისთვის აუცილებელი პირობები გააჩნდეს. მოზარდთა ბადმინტონი მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მწვრთნელების ენთუზიაზმით სულდგმულობს.

თბილისელთა ნაკრები გუნდი მე-80 საშუალო სკოლის მოსწავლეებით იყო დაკომპლექტებული (საზოგადოებრივი მწვრთნელი გ. ბორიაკი), ქუთაისში საზოგადოებრივ საწყისებზე ორი ჯგუფი მუშაობს, რომლებსაც მე-8 სამკერვალო ფაბრიკის უბნის უფროსი გ. მაშავა და ელექტრომექანიკური ქარხნის ინჟინერი ა. მოლჩანოვა უდგანან სათავეში. სარბიელზე წლეულს პირველად ვიხილეთ გორელი ბადმინტონისტები, რომლებსაც ასევე საზოგადოებრივი მწვრთნელი, ნ. ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ბიოლოგიის კათედრის თანამშრომელი რ. კერესელიძე ხელმძღვანელობს.

გუნდებს (თბილისელთა გარდა) აშკარად ეტყობოდათ მოუმზადებლობა. ამიტომ იყო, რომ ბევრი შეხვედრა უფერულად, უაზარტოდ წარიმართა. თბილისელები აშკარად სჯობდნენ მეტოქეებს და იშვიათად თუ იმართებოდა მესამე, გადამწყვეტი შეხვედრა.

ჩემპიონობის პრეტენდენტი იყო ქუთაისელი ვ. შელიავაც, რომელიც დამაჯერებლად და საზრიანად თამაშობდა ფინალურ შეხვედრამდე. მან III საპრიზო ადგილი დაიკავა.

ჩემპიონის სახელისთვის გადამწყვეტ ბრძოლაში თბილისელმა ვ. ბოგაჩუკმა სძლია თანაგუნდელ მ. წვერიკმაზაშვილს, წყვილთა შეხვედრაში კი ამ ორივე სპორტსმენმა იოლად დაამარცხა ქუთაისელები ს. დურენოვი და შელიავა. ამ გამარჯვებით მათ ჩემპიონობა დაისაკუთრეს. III საპრიზო ადგილი აჭარელთა წყვილს — გ. ჯვართავას და შ. ხარაძეს ხვდა (წყვილთა შეხვედრაში III ადგილი დაიკავეს მათმა თანაგუნდელმა გოგონებმა ტ. ჯიბლაძემ და ტ. ტიმოფეევამაც). I ადგილისთვის ბრძოლაში თბილისელთა წყვილმა (ი. კონდრატიევა—ლ. კისილკევიჩი) „მშრალი" ანგარიშით (2:0 — 15:0, 15:0) დაამარცხა ქუთაისელები ვ. პოლიაკოვა და ს. ტრისტანოვა.

ი. კონდრატიევა პერსპექტიული სპორტსმენია. წლეულს მან ყველა შეჯიბრებაში კარგად ითამაშა, ორჯერ დაამარცხა საქართველოს ჩემპიონი ნ. ბეჟანოვა. კონდრატიევა ახლაც შეუდარებელი იყო. ერთეულთა თანრიგში მან იოლად მოუგო კისილკევიჩს და აქაც ჩემპიონობა მოიპოვა. III ადგილი წილად ხვდა ტიმოფეევას.

აფხაზეთის წარმომადგენლები გ. კლოჩკოვა და ა. ელიშაკაშვილი შერეულ წყვილთა შეხვედრაში III ადგილზე გავიდნენ. ამ თანრიგში ჩემპიონობის ბედი თბილისელთა წყვილების კონდრატიევა — ბოგაჩუკის და კისილკევიჩ — წვერიკმაზაშვილის შეხვედრამ გადაწყვიტა პირველთა სასარგებლოდ.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. აჭარა.

**თ. ბაჩეჩილაძე.**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

გორი.

# …ა მასპინძლობას!

## …ემპიონია აფხაზეთის ნაკრები

…ვლიკის მოზარდმა წყო-
…მხტომელებმა ამიერკავ-
…ორტსკოლების ზონალუ-
…ლობისა და ახლახან დამ-
…ოი მოსწავლეთა XX საი-
…სპარტაკიადის შემდეგ მო-
…ა მიიღეს მოზარდთა I
…იკურ თამაშებში, რომე-
…უმში ჩატარდა.
…იბრებში თბილისის, ქუ-
…ფხაზეთისა და აჭარის კო-
…ი ჩაებნენ. აღსანიშნავია,
…წილენი ამჯერად უფრო
…ბლად გამოვიდნენ, სავალ-
… II თანრიგის ნორმატივის
…ბა აღარ უჭირდათ და
…ბა …ტის პროგრამი-
…რეზობდა.
…ი ასაკის გოგონებში ტრა-
…ნ ხტომაში ყველას აჯობა
…მა ნ. ამაღლობელმა. მი-
… — 114,89 ქულა I თან-
…ეტესია. თუ გავითვალის-
…ომ ქუთაისში ამ სახეობის
…ებისთვის სათანადო ბაზა
…ობს, ეს დიდი მიღწევაა.
…თის ნაკრები გუნდის წე-
…სიუკი კოშკიდან ხტომაში
…ოდ გამოდიოდა (უფროსი
…ბუკთა შორის) და ოსტა-
…ა (160,72) მეორედ შეას-
…არმატებას მიაღწია მისმა
…ლმა კ. იადრიშნიკოვმაც,
… ამ ნორმას 0,97 ქულით
…ბა.
…ჩათვლაში გაიმარჯვეს
… წარმომადგენლებმა —
…ლა. II ადგილზეა თბილი-
…ბი (771,22), III — აჭარი-
…).

…დი ასპარეზობის
…რიზიორები
…ტრამპლინი
…ნები. უმცროსი ასაკი.
1. გ. რუხაძე (თბილისი), 2. ნ. ლიევა (თბილისი), 3. მ. კაკაშვილი (აფხაზეთი); უფროსი ასაკი. 1. ნ. ამაღლობელი, 2. ქ. ბოიარკინა (აფხაზეთი), 3. მ. გრებენიუკი (თბილისი). ჭაბუკები. უმცროსი ასაკი. 1. ს. ვართანოვი, 2. რ. ბაღდასაროვი (ორივე — თბილისი), 3. ო. ნაჭყებია (აფხაზეთი); უფროსი ასაკი. 1. კ. იადრიშნიკოვი, 2. ს. ჩუნიხინი (თბილისი), 3. რ. ნადობნიხი (აჭარა).

### კოშკი

გოგონები. უმცროსი ასაკი. 1. რუხაძე, 2. კაკაშვილი, 3. ლიევა; უფროსი ასაკი. 1. ბოიარკინა, 2. ამაღლობელი, 3. ზ. მუსიენკო (აფხაზეთი). ჭაბუკები. უმცროსი ასაკი. 1. ვართანოვი, 2. ნაჭყებია, 3. ა. გრიგორიანი (აჭარა); უფროსი ასაკი. 1. ჩუნიხინი, 2. იადრიშნიკოვი, 3. ა. ტაპუნოვი (აფხაზეთი).

## …ვე ეს …ტუტი!..

…როგრამთა შეჯიბრების
…როგრამაში შედიოდა აკ-
…ული ხტომები, ძალისმი-
…ხეულის ჯგუფური ვარ-
… …ვაეთა და შერეული
…ების გამოსვლები და ბა-
… …ვარჯიში. იმის გამო,
… „შრომითი რეზერვების"
…ბლიკურ საბჭოს ბატუტი
…ვს, ამ სახეობაში შეჯიბ-
…რ ჩატარებულა. აღსანიშ-
… რომ კიევში ამას წინათ
…ულ საკავშირო პირვე-
…ი საქართველოს გუნდმა,
…საც II ადგილზე გასვლის
…ქონდა, VII ადგილი და-
…ხოლოდ იმ მიზეზით, რომ
… სპორტსმენები ბატუტზე
…შევე არ იყვნენ.
…ნირში თბილისის, რუს-
…აჭარის, აფხაზეთისა და
…სის გუნდები ჩაებნენ. გუ-
… ადგილებიც ასეთივე თა-
…ევრობით განაწილდა.
…ფურ ვარჯიშებში თბილი-
…თხეულმა (თ. ბუზიაშვი-
…. გორიტაშვილი, გ. ზაალი-
… და ტ. მღებრიშვილი),
…ლიც ოსტატობის კანდიდა-
… პროგრამით გამოდიოდა,
…ეძლო ამ ნორმატივის შე-
…ება და I ადგილი რუს-
… ოთხეულს — მ. და ზ. მი-
…ბს, მ. ჩოდრიშვილსა და ა.
…შვილს დაუთმო — 142,1
… მეორე იყო თბილისის
…ეტი — 135,9, III — აჭა-
… (ი. სადანოვი, ვ. ონიშენკო,
…თარიანი და ი. კოლესნიკო-
… — 134,2.
…თა წყვილებში ჩემპიონო-
…ოიპოვეს თბილისელებმა ა.
…ევმა და ს. დელიბალტოვ-
…73,85 ქულა). ისინი ოსტა-
…ს კანდიდატის პროგრამით
…დიოდნენ.
…რეულ წყვილებში გამარჯ-
… რუსთავის წარმომადგენლე-
…ლ. სოლოვიოვამ და თ. კა-
…ანმა (69,8 ქულა).
…ვებიდან ხტომაში უძლიერ-
…ყო თბილისელი ჯ. ლაშხი
…), გოგონებში ყველას აჯო-
… აფხაზეთის წარმომადგენელ-
… პოლუხიანმა (75,55).

ა. გურასაშვილი.

## გარდაბნელებმა იმარჯვეს

ცხინვალის საჭიდაო დარბაზში ჩატარდა შეჯიბრება სამბოში.
გარდაბნელმა ჭაბუკებმა კარგი ტექნიკა და ტაქტიკა გამოავლინეს, რამაც ხელი შეუწყო მათს დამსახურებულ გამარჯვებას. II ადგილზე გავიდა თბილისის ნაკრები. III ადგილი წილად ხვდათ კასპელ მოჭიდავეებს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონობა მოიპოვეს: ჯ. ხომასურიძემ (გარდაბანი), ჯ. ჯანანაშვილმა შ. შაქარაშვილმა (ორივე — კასპი), ნ. ყირიმელმა (გარდაბანი), ჯ. ჯანანაშვილმა (თბილისი), ა. წიკლაურმა (მცხეთა), რ. ხარშილაძემ (თბილისი), ზ. ქინქლაძემ (ახმეტა), გ. გოგიძემ (გარდაბანი), გ. ქამხაძემ (კასპი).

ნ. ნინიაშვილი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

• • •

სურათზე: გარდაბნელ ჯ. ხომასურიძეს კრიტიკულ მომენტში ჰყავს ცხინვალელი მ. კოზაევი. ფოტო თ. გაჩეჩილაძისა.



## არც სტუმრები ჩამორჩნენ

მოხარდ მოფარიკავეთა რესპუბლიკურ ნაკრებ გუნდში, რომელიც საკავშირო პირველობაში მიიღებს მონაწილეობას, თბილისელთა გარდა რაიონების ხუთი წარმომადგენელი შევიდა. მართალია, როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ გამოცდილ თანატოლებს არც სტუმრები — ქუთაისელი, ზესტაფონელი და რუსთაველი მოზარდები ჩამოუვარდებოდნენ.

რაპირისტ ჭაბუკებში საპრიზო ადგილები შესაბამისად დაიკავეს თბილისელებმა დ. გოგინაშვილმა თ. გურგენიძემ და ზესტაფონელმა თ. ფოფხაძემ. თბილისელი გოგონების ნ. ანდღულაძისა და დ. ბუხრაშვილის შემდეგ III საპრიზო ადგილი დაიკავა რუსთაველმა ნ. ლაბაძემ.

ესპადრონით ფარიკაობაში საპრიზო ადგილები გაინაწილეს თბილისელებმა ლ. ლომინაძემ, ზ. დავარაშვილმა და თ. ესართიამ.

დაშნით შეჯიბრებაში ჩემპიონობა თბილისელ ლ. ჩანტლაძეს ხვდა. რუსთაველი ვ. ლაზარაშვილი მეორე იყო, ქუთაისელი მ. თეთრუაშვილი III ადგილზე გავიდა.

## ორი გუნდით

თბილისის სპორტულ ბაზებზე გამართულ შეჯიბრებაში მასპინძლებმა ხუთჭიდელთა ორი გუნდი გამოიყვანეს. აფხაზეთისა და ქუთაისის წარმომადგენლებს სრული შემადგენლობით არ უასპარეზიათ და ჩემპიონობისთვის ბრძოლაში თბილისელებს ფაქტიურად მოცილე არ ჰყოლიათ.

ბოლო ხანებში ბევრჯერ შეგვინიშნავს, რომ თბილისელ მოზარდ ხუთჭიდელთა სახით საიმედო ცვლა გვყავს. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა დინამოელი პ. რუბეჟანსკი. მან პირველად წლეულს იანვარში გამართულ უძლიერეს ხუთჭიდელთა რესპუბლიკურ მატჩში გაგვაცნო თავი. მაშინ ჩემპიონის ტიტული უფროსებთან ჭიდილში მოიპოვა, ახლა კი თანატოლებშიც დაამტკიცა უპირატესობა. მისმა თანაგუნდელმა პ. გოეთემ და ვ. კალინინმა შესაბამისად II და III ადგილები დაიკავეს.

გუნდურ ჩათვლაში I ადგილი თბილისის პირველმა გუნდმა მოიპოვა. II ადგილზეა დედაქალაქის მეორე გუნდი. ქუთაისელი ხუთჭიდელები III ადგილზე დამკვიდრდნენ.

## ასპარეზობდა 37...

მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ასპარეზობა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დარბაზში ჩატარდა თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, აჭარისა და აფხაზეთის 37 წარმომადგენლის მონაწილეობით.

განსაკუთრებით საინტერესო იყო შეჯიბრება სპორტის ოსტატის პროგრამით. აქ ყველას აჯობა თბილისის 58-ე საშუალო სკოლის მეშვიდეკლასელმა მ. ვიშნიაკოვამ — 50,25 ქულა. ი. ანიოტოვამ (აჭარა) და ლ. ლავრენტიევამ (აფხაზეთი) ქულათა თანაბარი რაოდენობა (48,6 ქულა) დააგროვეს და II-III ადგილები გაიყვეს.

I თანრიგის პროგრამით გაიმარჯვა ქუთაისელმა ს. ბრიშნიაკოვამ — 42,75 მეორე იყო ე. კინწურაშვილი — 40,15, მესამე — ლ. კულბაჩნია (ორივე — რუსთავი) — 40,1.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო თბილისის კოლექტივი — 237,15 ქულა. II ადგილზეა აჭარა — 226,2, III — ქუთაისი — 214,2.

# ივლისის კალენდარი



### „ა" კლასი. I ჯგუფი

11. „ლოკომოტივი" — „პახტაკორი".
12. „სპარტაკი" — „კაირატი".
13. ცსკა — „ზარია".
14. „დინამო" (მოსკოვი) — „შახტიორი", „დინამო" (კიევი) — ასკ (როსტოვი), „დინამო" (მინსკი) — „ნეფტჩი", „ჩერნომორეცი" — „ტორპედო" (ქუთაისი), „ზენიტი" — „დინამო" (კიროვაბადი).
15. „კრილია სოვეტოვი" — „არარატი", „ტორპედო" (მოსკოვი) — „დინამო" (თბილისი).
16. „ლოკომოტივი" — „კაირატი".
17. „სპარტაკი" — „პახტაკორი".
18. „დინამო" (კიევი) — „ტორპედო" (ქუთაისი), „დინამო" (მინსკი) — „დინამო" (კიროვაბადი), ცსკა — „შახტიორი", „ჩერნომორეცი" — ასკ (როსტოვი), „ზენიტი" — „ნეფტჩი".
19. „კრილია სოვეტოვი" — „დინამო" (თბილისი), „ტორპედო" (მოსკოვი) — „არარატი".
23. სსრ კავშირის თასის მერვედფინალური მატჩები.
26. ცსკა — „ლოკომოტივი".
27. „დინამო" (თბილისი) — ასკ (როსტოვი), „არარატი" — „ტორპედო" (ქუთაისი), „დინამო" (მოსკოვი) — „სპარტაკი", „შახტიორი" — „დინამო" (კიევი), „ნეფტჩი" — „ტორპედო" (მოსკოვი), „კაირატი" — „დინამო" (მინსკი), „ზარია" — „ჩერნომორეცი", „პახტაკორი" — „ზენიტი", „დინამო" (კიროვაბადი) — „კრილია სოვეტოვი".
31. „შახტიორი" — „ჩერნომორეცი", „ზარია" — „დინამო" (კიევი), „ნეფტჩი" — „კრილია სოვეტოვი", ასკ (როსტოვი) — „არარატი", „ტორპედო" (ქუთაისი) — „დინამო" (თბილისი), „პახტაკორი" — „დინამო" (მინსკი), „დინამო" (მოსკოვი) — „ლოკომოტივი", „დინამო" (კიროვაბადი) — „ტორპედო" (მოსკოვი), „კაირატი" — „ზენიტი".

### „ა" კლასი. II ჯგუფი

#### III ქვეჯგუფი

12. „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) — „ვოლგარი" (ასტრახანი), „ვოლგა" (გორკი) — „დინამო" (ბათუმი), „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „შირაკი" (ლენინაკანი), „რუბინი" (ყაზანი) — „მეშახტე" (ტყიბული), „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „დინამო" (მახაჩყალა), „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „ლოკომოტივი" (თბილისი), „მეტალურგი" (მინგეჩაური) — „ფოლადი" (სუმგაითი), „სტროიტელი" (უფა) — „ტორპედო" (ტაგანროგი), „ზენიტი" (იჟევსკი) — „თერგი" (გროზნო), „ზვეზდა" (პერმი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე).
16. „ვოლგარი" — „ვოლგა" (ულიანოვსკი), „ვოლგა" (გორკი) — „მეშახტე", „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „დინამო" (ბათუმი), „რუბინი" — „შირაკი", „ურალმაში" — „ფოლადი", „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „დინამო" (მახაჩყალა), „მეტალურგი" — „ლოკომოტივი" (თბილისი), „სტროიტელი" — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე), „ზენიტი" — „ტორპედო", „ზვეზდა" — „თერგი".
20. „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „ტრაქტორი", „ვოლგა" (გორკი) — „შირაკი", „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „მეშახტე", „რუბინი" — „დინამო" (ბათუმი), „ურალმაში" — „ლოკომოტივი" (თბილისი), „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „ფოლადი", „მეტალურგი" — „დინამო" (მახაჩყალა), „სტროიტელი" — „თერგი", „ზენიტი" — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე), „ზვეზდა" — „ტორპედო".
26. „ტორპედო" — „ლოკომოტივი" (თბილისი), „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ფოლადი", „თერგი" — „დინამო" (მახაჩყალა), „დინამო" (ბათუმი) — „სტროიტელი", „მეშახტე" — „ზვეზდა", „შირაკი" — „ზენიტი", „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „ურალმაში", „ტრაქტორი" — „მეტალურგი", „ვოლგარი" — „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი), „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) — „რუბინი".
30. „დინამო" (მახაჩყალა) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე), „ფოლადი" — „ტორპედო", „ლოკომოტივი" (თბილისი) — „თერგი", „დინამო" (ბათუმი) — „ზენიტი", „მეშახტე" — „სტროიტელი", „შირაკი" — „ზვეზდა", „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი), „ტრაქტორი" — „ურალმაში", „ვოლგარი" — „მეტალურგი", „რუბინი" — „ვოლგა" (გორკი).

## 9 ივლისს

გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები „ბ" კლასის რსფსრ-ს III ზონის გუნდებს შორის.

ზონის ლიდერი — გორის „დილა" სლავიანსკში შეხვდა ადგილობრივ „უროჟაის". გაიმარჯვეს გორელმა ფეხბურთელებმა — 1:0.

გურჯაანის „ალაზანი" ლენინგრადსკაიაში შეხვდა ადგილობრივ „უროჟაის". მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

### „ბ" კლასი

## გათამაშების ცხრილი
### რსფსრ-ს IV ზონა
მდგომარეობა 10 ივლისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 18 | 10 | 6 | 2 | 32—11 | 26 |
| „ლორი" (კიროვაკანი) | 18 | 9 | 7 | 2 | 17—11 | 25 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 18 | 8 | 8 | 2 | 25—10 | 24 |
| „ნარზანი" (კისლოვოდსკი) | 18 | 7 | 8 | 3 | 23—12 | 22 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 18 | 10 | 1 | 7 | 21—16 | 21 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 18 | 8 | 4 | 6 | 21—14 | 20 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 19 | 8 | 4 | 7 | 27—22 | 20 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 18 | 5 | 10 | 3 | 20—16 | 20 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 18 | 8 | 3 | 7 | 25—14 | 19 |
| „მადნეული" (ჭიათურა) | 18 | 6 | 7 | 5 | 18—18 | 19 |
| „შუქურა" (კობულეთი) | 18 | 6 | 6 | 6 | 21—21 | 18 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 19 | 6 | 6 | 7 | 22—31 | 18 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 18 | 6 | 5 | 7 | 15—20 | 17 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 18 | 5 | 7 | 6 | 11—20 | 17 |
| „დინამო" (სოხუმი) | 18 | 7 | 2 | 9 | 23—21 | 16 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 18 | 7 | 2 | 9 | 19—23 | 16 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 17 | 6 | 3 | 8 | 19—19 | 15 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 18 | 3 | 7 | 8 | 9—15 | 13 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 17 | 4 | 4 | 9 | 13—23 | 12 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 18 | 4 | 4 | 10 | 16—27 | 12 |
| „კახეთი" (თელავი) | 18 | 2 | 4 | 12 | 8—31 | 8 |

## კალათბურთი ალმავლობას განიცდის

# „დინამოს“ იუნიორებიც — ჩემპიონები!

ამას წინათ მოსკოვში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს იუნიორთა პირველობა კალათბურთში. ასპარეზობაში მონაწილეობდნენ თბილისის, ლენინგრადის, ვოლგოგრადის, პერმის, ხარკოვისა და მოსკოვის გუნდები.

პირველ ტურში თბილისელებმა იოლად სძლიეს ვოლგოგრადელებს — 85:71. მეტად დაძაბული გამოდგა ბრძოლა ტურნირის მასპინძლებთან — მოსკოველებთან. ჩვენებმა ამჯერადაც იმარჯვეს — 56:54. მაგრამ III ტურში ისინი მოულოდნელად დამარცხდნენ პერმელებთან — 52:57. ამას ისიც დაერთო, რომ სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში მოულოდნელად გაიწვიეს გუნდის წევრი თ. ჩიხლაძე.

და მაინც, თბილისის ჭაბუკმა კალათბურთელებმა ჰონდომებით ჩაატარეს დარჩენილი შეხვედრები—დაამარცხეს ლენინგრადისა (50:17) და ხარკოვის (74:67) კოლექტივები და ჩემპიონის ტიტული დაიმსახურეს. II ადგილზე გავიდნენ ხარკოველები, III — მოსკოველები.

გამარჯვებული გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ი. ტრეტიაკოვი, დ. კოტორია, თ. ჩიხლაძე, ა. ნანაძე, ა. კალანდარიშვილი, გ. ბრეგვაძე, თ. ბარამიძე, დ. ლეჟავა, ვ. ქუთათელაძე, მ. ცირეკიძე, ზ. ქარაბაკი, თ. ფიცხელაური (მწვრთნელი — სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი გ. ავალიშვილი).

## სამ ფრონტზე

[illegible]

**კიევი**, 10 ივლისი. თბილისის „დინამოს“ კალათბურთელებისთვის წლევანდელი ზაფხული მართლაც საიუბილეოა: ჯერ იყო და, ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვეს ოსტატებმა, შემდეგ მათ კვალს გაუყვნენ იუნიორები, გუშინ კი კიდევ ერთ დიდ წარმატებას მიაღწიეს, ამჯერად, საშუალო ასაკის კალათბურთელებმა. უკრაინის დედაქალაქში დამთავრებულ საკავშირო ტურნირში მათ დაამარცხეს ოდესის (53:47), მოსკოვის (45:32), პერმისა (50:43) და ლენინგრადის (40:26) კალათბურთელები და I ადგილი დაისაკუთრეს (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. კილაძე).

## უძლიერესთა წოდება შეინარჩუნეს

**კიევი**, 10 ივლისი. გუშინწინ აქ დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების კალათბურთელთა საკავშირო პირველობა, რომელშიც მონაწილეობდა ვაჟთა და ქალთა 12-12 გუნდი. თავდაპირველად ჩატარდა ჯგუფური ტურნირები, I-II ადგილებზე გასულმა კოლექტივებმა შეადგინეს ფინალისტთა ექვსეულები, სადაც გათამაშდა კიდეც საპატიო წოდება.

ქალთა გუნდებში წაუგებლად იასპარეზა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივმა (მწვრთნელი კ. ბეთანელი), რომელმაც თანმიმდევრულად მოუგო ლატვიის (57:49), ვოლგოგრადის (50:30), თურქმენეთის (46:40), მელიტოპოლის (57:50) გუნდებს და დამატებით დროში — კიროვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კალათბურთელებს — 48:40 (ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 40:40).

პირველობა ვაჟებშიც ჩვენს თანამემამულეებს ხვდათ წილად (მწვრთნელი — სპორტის დამსახურებული ოსტატი ლ. ინწკირველი), რომლებმაც მხოლოდ 1 შეხვედრა წააგეს (ლატვიასთან — 60:62), დანარჩენები კი მოიგეს: დაღესტანთან — 75:62, კრასნოდართან — 62:54, უკრაინასთან — 71:66 და მოსკოვთან — 75:65.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კალათბურთელმა ქალებმა და ვაჟებმა შეინარჩუნეს ჩემპიონთა წოდება.

## „ერთ-ერთი უბრწყინვალესი...“

უიმბლდონის წლევანდელ ტურნირში ვაჟთა ერთეულებისა და შერეული წყვილების ფინალური შეხვედრების შედეგები უკვე გაგაცანით. დღეს გაწვდით ცნობებს დანარჩენ თანრიგებში გამართულ ფინალურ შეხვედრებზე.

ქალთა ერთეულების ფინალში 24 წლის ამერიკელმა ჯ. მოფიტ-კინგმა 70 წუთში დაამარცხა ავსტრალიელი ჯ. ტეგარტი (9:7, 7:5) და ზედიზედ მესამედ მოიპოვა უიმბლდონის ჩემპიონობა ამ თანრიგში.

ქალთა წყვილებში მოფიტ-კინგმა და მისმა თანამემამულემ რ. კაზალსმა დაამარცხეს ე. ჯონსი (დიდი ბრიტანეთი) და ფ. დიური (საფრანგეთი) — 3:6, 6:4, 7:5.

ვაჟთა წყვილების ფინალი წმინდა ავსტრალიური იყო: ერთმანეთს ხვდებოდნენ ჯ. ნიუკომბ — ე. როჩისა და კ. როზუოლ — ფ. სტოლეს დუეტები. სამსაათიან დაძაბულ ბრძოლაში უიმბლდონის ჩემპიონობა მოიპოვეს ნიუკომბმა და როჩმა — 3:6, 8:6, 5:7, 14:12, 6:3.

პრესა ხოტბას ასხამს საბჭოთა ჩოგბურთელების ო. მოროზოვასა და ა. მეტრეველის წარმატებას შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში. ფინალურ მატჩში მათი გამოსვლა სპეციალისტებმა შეაფასეს, როგორც ფანტასტიკური (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენებმა ფინალური შეხვედრა მ. სმით-კურტთან და კ. ფლეტჩერთან წააგეს — 1:6, 12:14). ტრიბუნებზე მსხდომნი ერთსულოვნად ქომაგობდნენ მეტრეველსა და მოროზოვას. მათმა თამაშმა მართლაც ძალიან დიდი შთაბეჭდილება დატოვა მაყურებლებზე. იუპ-ის სააგენტოს (აშშ) აზრით, „მატჩის ვარსკვლავი იყო საბჭოთა ჩოგბურთელი ქალი ო. მოროზოვა, რომლის თვითეული დარტყმა ბადესთან ჭეშმარიტად ჩემპიონური იყო. ა. მეტრეველმა უკანა ხაზზე ბრწყინვალე თამაშით შესანიშნავად აუბა მხარი თავის პარტნიორს. ეს ფინალური მატჩი უდავოდ ერთ-ერთი უბრწყინვალესია, რომელიც კი ოდესმე უნახავს უიმბლდონს“.

## გასწორება

„ლელოს“ წინა ნომერში გაიპარა შეცდომა: მე-2 გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში—„წინაა 2100 კილომეტრი“ მოტომოლაშქრეთა ფოტოსურათის ნაცვლად დაბეჭდილია მომენტი საქართველოს იუნიორ დინამოელთა რესპუბლიკური შეჯიბრებისა, რომელიც თბილისის ზღვის მიდამოებში გაიმართა (ველოსიპედისტთა ამ შეჯიბრების ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

ბოდიშს ვუხდით მკითხველს შეცდომისთვის და ვბეჭდავთ რუსთაველ მოტომოლაშქრეთა სურათს.



# ჩვენი [illegible]

## წყნარი ოკეანიდან — მოსკოვამდე

**იუჟნო-სახალინსკი**, 9 ივლისი. ქალაქ ნეველსკში (სახალინი) სტარტი აიღო ველოგადარბენამ, რომელიც კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება. გადარბენის მონაწილეებს — სატრალო ფლოტის სპორტის საზოგადოების ინსტრუქტორს ვ. ნიკოლსკის, რადიომექანიკოს ვ. ჩუევს, ზეინკლებს ი. ბულავინს, ა. გრიშაევსა და ვ. ჩეპინს განზრახული აქვთ 85 დღე-ღამეში დაფარონ მანძილი წყნარი ოკეანიდან მოსკოვამდე (დაახლოებით 9 ათასი კმ).

შესვენების დროს სახალინელები ახალგაზრდებს უამბობენ, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ შორეული კუნძულის კომკავშირელები, როგორ ემზადებიან ისინი კომკავშირის სახელოვანი იუბილესთვის.

გადარბენის მონაწილენი ჩავიდნენ სახალინის ნავსადგურ კორსაკოვში. აქედან ისინი თბომავლით გადაცურავენ იაპონიის ზღვას, ვლადივოსტოკში კი ველოსიპედებზე ამხედრდებიან.

## 5500 კილომეტრი ძრავიანი ნავებით

**ტომსკი**, 9 ივლისი. ქალაქის ახალგაზრდობამ დღეს საზეიმო გაცილება მოუწყო ტომსკ — კუიბიშევის საწყლოსნო გადასვლის მონაწილე სპორტსმენთა ჯგუფს. მამაცთა ხუთეულს მეთაურობს გამოცდილი სპორტსმენი, ოფიცერი ი. ცინგალოვი. გადასვლის მონაწილეებმა ძრავიანი ნავებით უნდა დაფარონ 5500 კმ. ისინი გაივლიან მდინარეებს ობს, ირტიშს, ტობოლს, უსუარას, კამას, ვოლგას. ისეტიდან და ჩუსოვაიამდე სპორტსმენები ნავებს ხელით გადაიტანენ.

ასეთი მარშრუტით გადასვლა პირველად ხორციელდება. ეს ღონისძიება კომკავშირის 50 წლისთავს ეძღვნება. მოლაშქრენი ესტუმრებიან რევოლუციურ მოვლენათა ადგილებს, შეხვდებიან ნარიმის, ტობოლსკის, ტიუმენის, სვერდლოვსკისა და ყაზანის კომკავშირელებს.

გადასვლის მონაწილეთ განზრახული აქვთ მარშრუტის გეოგრაფიული აღწერა. ისინი აპირებენ შეადგინონ და გამოსცენ ფოტოალბომი, რომელიც გაგვაცნობს ციმბირის, ურალისა და ვოლგისპირეთის მდინარეების ნაპირებზე გაშენებულ ახალ ქალაქებსა და სოფლებს.

## მეთევზეთა სპორტის სასახლე

**რიგა**, 10 ივლისი. მეთევზეთა ძველი დასახლება როი რიგის უბის ნაპირას, რესპუბლიკის დედაქალაქიდან 150 კილომეტრის დაშორებითაა განლაგებული. ახლახან აქ მწყობრში ჩადგა ახალი შესანიშნავი სპორტული კომპლექსი, რომელიც სიდიდით მესამეა ლატვიაში. ლამაზ, ნათელ შენობას ფანჯრები არა აქვს: კედლების მაგიერ მინის ფერადი ბლოკები გამოუყენებიათ.

მეთევზეთა არტელის ახალ კომპლექსში შედის მძლეოსნობის, ფრენბურთის, კალათბურთის, ხელბურთის, ძალოსნობის, ჭიდაობისა და სპორტის სხვა სახეობათა დარბაზები. ტრიბუნები და დერეფნები 600 მაყურებელს იტევს.

ფრენბურთელთა მატჩზე, რომელიც სასახლის გახსნის ზეიმზე მოეწყო, პირველი საპატიო დარტყმის უფლება მიეცა მეთევზეთა კოლმეურნეობა „ბანგას“ უხუცეს მშენებელს პ. კრასტინს.

— ახლა განზრახული გვაქვს ზამთრის საცურაო აუზის მშენებლობა, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ, დაბის ერთ-ერთმა საუკეთესო სპორტსმენმა, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა მ. ლისმენტმა.

[illegible]



▲ **ინგლისის**, ჰოლანდიისა და გფრ-ის მოცურავეთა ოლიმპიური გუნდების მატჩში, რომელიც დასავლეთ ბერლინში გაიმართა, ინგლისელებმა გაიმარჯვეს. მათ 184 ქულა მოაგროვეს. მეორე იყო ჰოლანდიის (138), მესამე — მასპინძლების გუნდი — 106.

▲ **ბულგარეთისა** და რუმინეთის ტანმოვარჯიშე ქალთა ნაკრები გუნდების მატჩში ბულგარელებმა იმარჯვეს. მათ 376,20 ქულა მოაგროვეს, რუმინელებმა — 373,55. პირად შეჯიბრებაში ყველას აჯობა კარაშკამ — 76,60, მეორე იყო ჩამპელი — 75,70, მესამე — მიტოვა (ყველა — ბულგარეთი) —75,55.

▲ **ავსტრიის** სათხილამურო სპორტის ფედერაციამ ინსბრუკის ოლიმპიადის ჩემპიონი სწრაფდაშვებაში ე. ჰააზე ქალთა ეროვნული ნაკრების მწვრთნელად დანიშნა.

▲ **მეხიკოს** ოლიმპიადის უკეთ მომსახურებისთვის ამ ქვეყნის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს მეორე საჰაერო ჭიშკარიც გახსნან—სწრაფი ტემპით მიმდინარეობს სამხედრო აეროდრომის „სან ლუსიას“ რეკონსტრუქცია.

▲ **საფრანგეთისა** და გფრ-ის მძლეოსანთა ოლიმპიური ნაკრები გუნდების მატჩი, რომელიც პარიზში გაიმართა, სტუმრებმა მოიგეს — 116:96.

## ზოგიერთი სიახლე

მშვიდობის მომავალ, XXII ველორბოლამდე თითქმის მთელი წელია დარჩენილი, მაგრამ შეჯიბრების ორგანიზატორები აქედანვე შეუდგნენ ზოგიერთი დეტალის დაზუსტებას. ამ მიზნით პრაღის სასტუმრო „პალასში“ შეიკრიბნენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები და განიხილეს ის სიახლენი, რომლებმაც, სპეციალისტების აზრით, რბოლა კიდევ უფრო საინტერესო უნდა გახადონ.

მომავალი ველორბოლა სტარტს კვლავ გამარჯვების დღეს — 9 მაისს აიღებს, მაგრამ წინა შეჯიბრებებისგან განსხვავებით, იგი დაიწყება დაყოფილი სტარტით.

საგრძნობლად შემცირდა ბონიფიკაციის მაჩვენებლები. თუ უწინ პირველ სამ პრიზიორს შესაბამისად აკლდებოდა 60, 30 და 15 წამი, ამიერიდან ეს დრო შემცირდა შემდეგნაირად: 30, 20, 10. გარდა ამისა, ყოველი გუნდის შემადგენლობა გაიზარდა 1 ველოსიპედისტით (6 სპორტსმენის ნაცვლად — 7).

## ევროპის ახალი ნაკრები

რუმინეთის გაზეთმა „სპორტულმა“ ევროპის ცნობილ 15 სპეციალისტს გამოჰკითხა მათი აზრი კონტინენტის ფეხბურთელთა ნაკრების კანდიდატთა თაობაზე.

გამოკითხვის შედეგად „სპორტულმა“ ევროპის ასეთი ნაკრები მიიღო: ბენქსი (ინგლისი), ფაკეტი (იტალია), შესტერნიოვი (სსრ კავშირი), მური (ინგლისი), შნელინგერი, ბეკენბაუერი (გფრ), ბ. ჩარლტონი (ინგლისი), რივერა (იტალია), ბესტი (ინგლისი), ეუსებიო (პორტუგალია), ჯაიჩი (იუგოსლავია).

# ამერიკული ფეხბურთი ურომანტიკოდ

**ნიუ-იორკი**, 8 ივლისი. შაბათიდან ამერიკის ბევრ სტადიონზე ზაფხულის სეზონისთვის უჩვეულო სიწყნარე გამეფდა. მოიხსნა არა მხოლოდ კალენდრით დანიშნული თამაშები, არამედ საწვრთნელი მეცადინეობებიც. ეროვნულ საფეხბურთო ლიგაში გაერთიანებული პროფესიული გუნდების წევრებმა მოთამაშეთა ასოციაციის პრეზიდენტის ჯონ ჰორდის მოწოდებით გაფიცვა მოაწყვეს.

აშშ-ს ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა 1890 წლის შემდეგ, როცა პროფესიონალი სპორტსმენები გაიფიცნენ (იმ წელიწადს ასეთ უკიდურეს ზომას ბეისბოლისტებმა მიმართეს).

„ამერიკული ფეხბურთი კარგავს უწინდებურ რომანტიკას“, — ოხრავს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ მიმომხილველი ვ. უოლესი. მისი აზრით, დღეს უკვე აღარ ჰგვანან გმირებს ამერიკული პროფესიული ფეხბურთის ისეთი ვარსკვლავებიც კი, როგორებიც არიან ფ. ტარკენტონი და ბ. სტარი. ისინი თურმე „მხოლოდ იმიტომ თამაშობენ, რომ პენსია მიიღონ“. „ახლა, — წერს მიმომხილველი, — 30 მილიონი ამერიკელი გულშემატკივრის კერპები არაფრით არ განსხვავდებიან მეტროპოლიტენის გაფიცული მემანქანეებისგან ან ლინოტიპისტებისგან...“

კაცმა რომ თქვას, მაინც რითი განსხვავდებიან ისინი ამერიკელი დაქირავებული მუშებისგან? დღევანდელ ამერიკაში პროფესიონალი სპორტსმენები მთლიანად „სპორტის ბიზნესმენთა“ განკარგულებაში არიან, რომელთაც ფეხბურთელთა შეხვედრების წყალობით უდიდესი მოგება აქვთ და რომლებიც არსებითად ექსპლოატაციას უწევენ დაქირავებულ მუშებს ეკონომიკის სხვადასხვა დარგში.

როგორც ჩანს, სპორტსმენებს მოთმინების ძაფი გაუწყდათ. ამჟამინდელი უჩვეულო გაფიცვის მიზეზი ის გახლდათ, რომ საფეხბურთო კლუბების მეპატრონეებმა კატეგორიულად უარყვეს მოთამაშეთა მოთხოვნა გარანტირებულ პენსიებზე. ფეხბურთელებმა იციან, რომ დროთა განმავლობაში მათი დიდი უმრავლესობა ქუჩაში აღმოჩნდება ულუკმაპუროდ. ამიტომ სპორტსმენებმა გადაწყვიტეს მინდორზე არ გამოვიდნენ, ვიდრე მათი სამართლიანი მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იქნება.

[illegible]

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04162